

1.	<p>რეგულარული სპორტული აქტივობის გრძელვადიან შედეგს წარმოადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა. კუნთების ტემპერატურის მომატება ბ. გულის სისტოლური მოცულობის მომატება გ. გულისცემის სიხშირის მომატება მოსვენების მდგომარეობაში დ. გულის წუთმოცულობის დაქვეითება
2.	<p>გახურება ვარჯიშის დაწყების წინ მნიშვნელოვანია, რადგან ის:</p> <ul style="list-style-type: none"> ა. აუმჯობესებს მოქნილობას ბ. ანელებს გულისცემას გ. ამცირებს რბემჟავის გამოდევნას დ. ანელებს ადრენალინის გამოყოფას
3.	<p>სპორტსმენთა სამედიცინო სკრინინგის რეკომენდებული სიხშირეა:</p> <ul style="list-style-type: none"> ა. ყოველთვიურად ბ. ორ თვეში ერთხელ გ. წელიწადში ორჯერ დ. ორ წელიწადში ერთხელ
4.	<p>სასუნთქი სისტემის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ყველაზე ეფექტურია შემდეგი ტიპის ფიზიკური ვარჯიშები:</p> <ul style="list-style-type: none"> ა. სტატიკური ვარჯიშები ბ. ვარჯიშები წინააღმდეგობის დაძლევაზე გ. ძუნძულით სირბილი დ. იზომეტრული ვარჯიშები
5.	<p>რომელი ქვემოთაღწერილი პროცესი ძლიერდება ფიზიკური ვარჯიშის დროს?</p> <ul style="list-style-type: none"> ა. თირკმლების სისხლით მომარაგება ბ. შარდის გამოყოფა გ. კუჭის სეკრეცია დ. საოფლე ჯირკვლების ექსკრეტორული ფუნქცია
6.	<p>ახალგაზრდა სპორტსმენებში არატრავმული უეცარი სიკვდილის ყველაზე ხშირი მიზეზია:</p> <ul style="list-style-type: none"> ა. ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია ბ. ჰემორაგია თავის ტვინში გ. ჰიპერთერმია დ. ასთმური სტატუსი
7.	<p>რომელი ტრავმული დაზიანების მაგალითია კოჭის ღრძობა?</p> <ul style="list-style-type: none"> ა. კანის ტრავმული დაზიანება

	<p>ბ. რბილი ქსოვილის ტრავმული დაზიანება</p> <p>გ. მაგარი ქსოვილის ტრავმული დაზიანება</p> <p>დ. არცერთი</p>
8.	<p>ფიზიკური რეაბილიტაციის რომელი მეთოდი გამოიყენება კუნთის მწვავე ტრავმის დროს?</p> <p>ა. მასაჟი და ცხელი აბაზანა</p> <p>ბ. პასიური და აქტიური ვარჯიში</p> <p>გ. კრიოთერაპია</p> <p>დ. გამახურებელი მალამოები</p>
9.	<p>სპორტში აკრძალული ნივთიერებების გამოვლენა რუტინულად ხდება:</p> <p>ა. სისხლის ანალიზით</p> <p>ბ. შარდის ანალიზით</p> <p>გ. ნერწყვის ანალიზით</p> <p>დ. თმის ღერის ანალიზით</p>
10.	<p>სპორტული შედეგის გასაუმჯობესებელი ნივთიერების მაგალითს წამოადგენს:</p> <p>ა. ალკოჰოლი</p> <p>ბ. პრედნიზოლონი</p> <p>გ. იბუპროფენი</p> <p>დ. პარაცეტამოლი</p>